ხელშეკრულებაN 127

(მომსახურების თაობაზე)

ქ. წალკა „18 იანვარი 2024” წ

(ხელშეკრულების დადების ადგილი) (ხელშეკრულების დადების თარიღი)

ერთის მხრივ, სსიპ წალკის მუნიციპალიტეტის სოფ.განთიადის საჯარო სკოლა (ს/კ245243124551), წარმოდგენილი, მისი დირექტორი კაკო ანთაძე (პ/ნ33001020601) სახით (შემდგომში „დამკვეთი“) და მეორეს მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი „წალკის მუნიციპალიტეტის მერია“ (ს/კ: **243125934)** წარმოდგენილი მერიის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსის **ოთარი ვანაძის სახით** (შემდგომში „შემსრულებელი“), ორივე ერთად წოდებული როგორც „**მხარეები**“, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, საქართველოს კანონის “ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ პირველი მუხლის,მე–3 მუხლის მე–8 პუნქტისა და მე–12[1] მუხლის მე–2 პუნქტის თანახმად , ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. შემსრულებელი კისრულობს ვალდებულებას მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში, დამკვეთის მფლობელობაში არსებულ ობიექტიდან **(წალკა, ს.განთიადი)** ყოველთვიურად განახორციელოს 1,5 **მ³ (1,5 კუბური მეტრი)** საყოფაცხოვრებო ნარჩენის (ნაგვის) გატანა.(CPV-90512000)

1.2. აღნიშნული მომსახურეობის შესაბამისი მოსაკრებელი ყოველთვიურად შეადგენს 15 (თხუთმეტი) ლარს.

1.3. მოცემულ ხელშეკრულებაში აღნიშნული სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება ამ ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.4 პუნქტით.

1.4. ამ ხელშეკრულების 1.1 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება მოსაკრებლის სახით შეადგენს, „წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებისა და დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 2 ივლისის N32 დადგენილების შესაბამისად 1მ³–10 (ათი) ლარი.

მუხლი 2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. დამკვეთი ვალდებულია:

- ხელი შეუწყოს შემსრულებელს შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
- დროულად აანაზღაუროს შემსრულებლის მიერ შესრულებული სამუშაო ამ სახელშეკრულებო პირობების შესაბამისად.
- საქმიანობის შეწყვეტამდე 10 დღის ვადაში წერილობით შეატყობინოს შემსრულებელს.

2.2. შემსრულებელი ვალდებულია:

- ხელშეკრულების ძალაში შესვლის მომენტიდან, შესაბამისი პირობების გათვალისწინებით განახორციელოს 1.1 პუნქტით განსაზღვრული მომსახურების გაწევა.
- დაუყოვნებლივ შეატყობინოს დამკვეთს, იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც აბრკოლებენ სამუშაოთა მიმდინარეობას ან შეუძლებელს ხდიან მათ შემდგომ გაგრძელებას.
- შემსრულებელი ვალდებულია ამ ხელშეკრულების პირობებისა და პერიოდულობის შესაბამისად კეთილსინდისიერად შეასრულოს შესაბამისი მომსახურება.
- შემსრულებელი ვალდებულია მომსახურების გაწევა უზრუნველყოს ამ ხელშეკრულების 1.1 პუნქტით განსაზღვრულ მისამართზე **ყოველდღიურად.**

2.3. შემსრულებლის მიერ ამ ხელშეკრულების 1.1 პუნქტით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას უზრუნველყოფს წალკის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული „ა.ა.ი.პ წალკის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“.

მუხლი 3. ანგარიშსწორების წესი

3.1. დამკვეთი ანგარიშწორებას ახორციელებს **ყოველთვიურად 20 რიცხვამდე.**

3.2. ანგარიშწორება ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშწორების გზით, შემსრულებლის მიერ განსაზღვრულ საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის ან არასათანადო შესრულებისთვის მხარეები აგებენ პასუხს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 5. ფორს-მაჟორი

5.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისთვის, თუ ეს სტიქიური და ტექნოლოგიური კატასტროფების, საომარი მოქმედებების, ხელისუფლების აქტების და სოციალური აფეთქებებით გამოწვეული დაუძლეველი ძალის შედეგია და თუ ეს მოვლენები დაიწყო და განვითარდა ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ. ამასთან, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს იმ დროის თანაზომიერად, რომლის განმავლობაშიც გრძელდებოდა ეს გარემოებები.

მუხლი 6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ძალაშია 2024 წლის 01 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

6.2. ხელშეკრულების მოქმედება წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების, პამ ხელშეკრულების და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

მუხლი 7. დავათა გადაჭრის წესი

7.1. ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკებების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს.

7.2 სასამართლოში სარჩელის შეტანა არ ათავისუფლებს გადამხდელს ადგილობრივი მოსაკრებლების გადასახადისაგან.

მუხლი 8. ხელშეკრულების პირობების შეცვლა

8.1. ეს ხელშეკრულება შეიძლება შეიცვალოს, გაუქმდეს ან მიჩნეულ იქნეს ბათილად მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლებით ან მხარეთა შეთანხმებით. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია, თუ ისინი შესრულებულია წერილობითი ფორმით.

მუხლი 9. ხელშეკრულების სხვა პირობები

9.1. თუ ხელშეკრულების ნებისმიერი მუხლი ან მისი ნაწილი რაიმე კანონის ძალით აღმოჩნდა ძალადაკარგული, იგი ჩაითვლება ხელშეკრულებაში არარსებული, ამასთან ყველა დანარჩენი მუხლი ძალაში დარჩება.

9.2. ხელშეკრულება იდება ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) იდენტურ ეგზემპლარად და გადაეცემა თითოეულ მხარეს.

10. მხარეთა რეკვიზიტები:

10.1. მხარეები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ შეატყობინონ ერთმანეთს ამ პუნქტში გათვალისწინებული რეკვიზიტების შეცვლის თაობაზე.

შემსრულებელი:

წალკის მუნიციპალიტეტი
მის: ქ.წალკა, არისტოტელეს ქუჩა N22
ტელ: 599 854 994

ს/კ 243125934;

ეროვნული ხაზინა

შემოსავლების სახაზინო კოდი: 300123189

ოთარი ვანაძე Otari Vanadze 52001017057 Digitally signed by Otari Vanadze Date: 2024.01.18 11:53:11 _____კაკო ანთაძე_____

დამკვეთი: სსიპ განთიადის საჯარო სკოლა

მის: _ქ.წალკა ს.განთიადის

_____

ს/კ: 243124551
ტელ: 591058200